



*წიგნი მუშაყ*

**წიგნი ღირსებრისა**

**1997**

**ფ**იზიკური  
**მ**ათემატიკის  
**ლ**იტერატურის  
1997

---

თბილისი  
2001



УДК 351.856.2 (479.22)

წ. 513

**იბეჭდება**

**ნიკა ცხაკაიას, ღვაწით კოწენიძის, ბაღრი წილოსანის,  
ბურამ ხმალაძისა და ომარ თეთრაშვილის**

**ხელუწყოებით**

„წიგნი ღირსებისა“ გახლავთ ქვეყნის რჩეულ მამულიშვილთა წარმოჩენის პირველი ცდა. წიგნი შთაბოძავლობას შემოუნახავს იმათ სახელებს, რომელთა თავგანწირვა ქვეყნის დამოუკიდებლობისა და მთლიანობისათვის, განსაკუთრებული წვლილი მშვიდობიანი აღმშენებლობისათვის, გამორჩეულ ადვილს დაიკავეს საქართველოს უახლეს ისტორიაში.

წიგნში შეტანილია საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის ნააზრევი სახელმწიფო ჯილდოს მნიშვნელობის შესახებ, მოცემულია პრეზიდენტის ბრძანებულებები დაჯილდოების შესახებ, ჯილდოების გადაცემის ცერემონიის ამსახველი ფოტო და დოკუმენტური მასალა. რაც მთავარია, წიგნს დაერთო სახელმწიფო ორდენებითა და მედლებით დაჯილდოებულ პირთა საძიებელი გვარ-სახელების მიხედვით. წიგნი ხუთტომეულია. ამჯერად გთავაზობთ მეორე წიგნს.

**წიგნის უმეღბენლევი**

**თამაზ ყიფიანი (რედაქტორი)**

**თენგიზ ბაჩიანიძე**

**ბურამ სიმონიშვილი**

ISBN 99928-0-154-9

© თამაზ ყიფიანი.



სამშობლოს წინაშე საქართველოს მოქალაქეთა ღვაწლის  
 სანდოა და სანდოა ჯილდოებით აღნიშნას და მნიშვნელობას  
 ეანიჭებ. დაევალოს ჯილდოს სული სხვა თვის, სხვა  
 წონა და სხვა მნიშვნელობა აქვს. რადგან ეს არის არა  
 სხვა ქვეყნის, არამედ სამშობლოს მიერ მოკეთებული  
 ჯილდო და რაოდენ ძვირფასი, რაოდენ რთული პერიოდის  
 ამხანაგობა არ უნდა იყოს იგი, ეს დამოუკიდებელი და  
 თავისუფალი საქართველოს ჯილდოა, ხეივანი სანდოა და  
 ჯილდოა.

1970 წლის 30 იანვარი

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ორდენი არის წარჩინების ნიშანი, საპატიო ჯილდო, რომლითაც სახელმწიფო გამოხატავს განსაკუთრებულ მადლიერებას და აღნიშნავს პიროვნების დამსახურებას სახელმწიფოსა და ხალხის წინაშე. ორდენის, როგორც წარჩინების ნიშნის წარმოშობა დაკავშირებულია სარაინდო, სასულიერო-სარაინდო ორდენებთან და საზოგადოებრივ გაერთიანებებთან.

ჯერ კიდევ მეთორმეტე საუკუნიდან არსებობდა დასავლეთ ევროპაში სამხედრო და ბერ-მონაზონთა სარაინდო ორდენები. თავდაპირველად ისინი გაჩნდნენ პორტუგალიაში და ესპანეთში (სან-ბენიტო დ' ავიზის ორდენი - 1143 წ. და სანტ-იაგო დე ესპადოს ორდენი - 1176 წ.). შემდგომ ბურგუნდიაში (XIII ს.), ინგლისსა და იტალიაში (XV ს.), ბავარიაში, დანიაში, ავსტრიაში და საფრანგეთში (XV ს.), რუსეთში, უნგრეთში, შვედეთსა და პრუსიაში (XVIII ს.), ბულგარეთში, საბერძნეთში, თურქეთში, სერბიაში, ნიდერლანდებში, ლუქსემბურგში, რუმინეთში, ჩინეთში, სპარსეთსა და იაპონიაში (XIX ს.), ნორვეგიაში, ირლანდიაში, ჩეხოსლოვაკიაში, პოლონეთსა და ფინეთში (XX ს.).

XIV-XVI საუკუნეებში ფართოდ გავრცელდა სამეფო კარის ორდენები, რომელთა წევრები ძირითადად წარჩინებულნი, დიდგვაროვანნი ან მაღალი სოციალური ფენის წარმომადგენლები იყვნენ. მათ სამოსს ამშვენებდა სხვადასხვა საორდენო ნიშანი, რომელმაც დროთა მანძილზე ჯილდოს სახე მიიღო. ერთ-ერთი პირველი ჯილდოები იყო ინგლისში „წვივ-საკრავის ორდენი“ (1348 წ.), საფრანგეთში „სულიწმინდის ორდენი“ (1579 წ.). XVII და XVIII საუკუნეებში მრავალი მსგავსი ორდენი დაწესდა და გავრცელდა მთელს ევროპაში. ცოტა მოგვიანებით შემოიღეს ჯილდოს ნიშნები მსოფლიოს სხვა ქვეყნებშიც, კერძოდ: იაპონიაში - „ამომავალი მზის“ ორდენი, ჩინეთში - „ორმაგი დრაკონის“ ორდენი, თურქეთში - „ნახევარმთვარის“ ორდენი, ირანში - „ლომისა და მზის“ ორდენი, რუსეთში - „ანდრია პირველწოდებულის“ და „წმინდა ეკატერინეს“

ქალთა ორდენები, რომლებიც პეტრე პირველმა დააკანონა, შემდგომ რუსეთის საიმპერატორო კარმა სამხედროების დასაჯილდოებლად დააწესა „წმინდა ალექსანდრე ნეველისა“ და „წმინდა გიორგის“ ორდენები.

თავდაპირველად ორდენები დგინდებოდა როგორც უმაღლესი წარჩინების ნიშანი ვიწრო და ამასთან ვარკვეული წრის წარმომადგენლებისათვის (მაგალითად, ორდენი „ოქროს საწმისი“ შეიძლებოდა ებოძათ მხოლოდ და მხოლოდ საიმპერატორო და სამეფო სახლის პირთათვის, სერაფიმების შვედური ორდენი შეიძლებოდა ერთდროულად ჰქონოდა აზნაურული წარმოშობის არა უმეტეს 32 პირს და ა. შ.). ამიტომ დღემდე დასავლეთეგრობული სხვადასხვა ორდენების სტატუტები განსაზღვრავენ იმ პირთა ზუსტ რაოდენობას, რომლებსაც შეუძლიათ მიიღონ ესა თუ ის ორდენი.

თითქმის XX საუკუნემდე მრავალ ქვეყანაში მსგავსი ორდენების კავალრები დაკავშირებული იყვნენ ერთმანეთთან როგორც ერთი ორგანიზაციის პირები და ემორჩილებოდნენ შესაბამისი ორდენის კაპიტულს\*. ამის შედეგად რიგი სახელმწიფოების საორდენო ნიშნები დაყოფილი იყო მრავალ ხარისხად თუ საფეხურად, კლასად, თანრიგად (ხუთი, რვა და მეტი), რომლებიც ასახავდნენ არა მარტო დამსახურების დონეს, არამედ მისი მფლობელის რანგსაც შესაბამისი ორდენის ორგანიზაციის სისტემაში (უბრალო კავალერი, კავალერი-ოფიცერი, უფროსი ოფიცერი, კომანდორი და ა. შ.). მაგალითად, იაპონურ „ოქროს სინარულის“ ორდენს ჰქონდა 7 ხარისხი, ორდენს „წმინდათაწმინდა საუნჯე“ - 8 ხარისხი, ფრანგული საპატიო ლეგიონის ორდენს - 5 ხარისხი, ერთ-ერთ ჩინურ ორდენს 9 ხარისხიც კი ჰქონდა, ხოლო 1912 წელს გაუქმებულ ჩინურ ორდენს „ორმაგი დრაკონი“ გააჩნდა 5 თანრიგი და 11 ხარისხი. ყოველივე ეს ასახავდა ფეოდალური

\*კაპიტული - 1. მონარქიული ან სასულიერო სარაინდო ორდენის უმაღლესი ორგანო - ორდენის წევრთა საერთო კრება  
 2. ორგანო, რომელიც განაგებს საორდენო საქმეებს.

საზოგადოებისათვის დამახასიათებელი მრავალსაფეხურიანი ვასალური დამოკიდებულების სისტემას, ამ სისტემამ საორდენო ნიშნებში ასახვა ჰპოვა მაშინაც კი, როდესაც ფეოდალიზმმა შეწყვიტა თავისი არსებობა.

ორდენების თვისება, როდესაც ისინი შუასაუკუნოვან ევროპაში განიხილებოდნენ როგორც ფეოდალური, წოდებრივი განსხვავებისა და მონარქიული წყალობის უპირველესი ნიშნები, პრინციპული საფუძველი გახდა, რათა რესპუბლიკური სახელმწიფოებს იმთავითვე უარი ეთქვათ ორდენების ინსტიტუტზე.

შვეიცარიამ, მოგვიანებით ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და ლათინური ამერიკის სახელმწიფოებმა უარი განაცხადეს ორდენის შემოღებაზე - როგორც განსხვავების ნიშანზე, თუმცა დააწესეს ისეთი მედლები და ნიშნები, რომლებიც რანგით მედლებზე დაბლა იდგნენ, ვინაიდან არ იყვნენ დაკავშირებული გარკვეულ საორდენო სტატუტებთან.

თუ რამდენად დომინირებდა ამ საკითხში ფორმალური, სამართლებრივი მიდგომა (ორდენი ნიშნავს წოდებრივ ორგანიზაციას), გვიჩვენებს 1783 წელს ჯორჯ ვაშინგტონის მიერ აშშ-ში ორდენის შემოღების მცდელობა.

ჯორჯ ვაშინგტონმა კარგად იცოდა რა, რაოდენ დიდი მორალურ-პოლიტიკური მნიშვნელობა ენიჭებოდა პატრიოტული ვრძნობების აღზრდისათვის ქვეყანაში ეროვნული ორდენის შემოღებას, ასევე მის საერთაშორისო მნიშვნელობას, ცდილობდა ამაში დაერწმუნებინა აშშ-ს სენატი, მაგრამ კანონმდებლები შეუდრეკელი აღმოჩნდნენ, ვინაიდან ისინი ეყრდნობოდნენ ფორმალურ იურიდიულ პოზიციას: რესპუბლიკა არ უნდა იყოს არანაირი წოდებრივი, საორდენო ორგანიზაცია. ჯ. ვაშინგტონი შეეცადა გადაეღახა ეს ფორმალობა და დაეშვა იმის შესაძლებლობა, რომ დამოუკიდებლობისათვის ომში მონაწილე ოფიცერთა ჯგუფისათვის შეექმნა არა სახელმწიფოებრივი, არამედ კერძო საორდენო ნიშანი - ცინცინატის ორდენი და თავად გამხდარიყო ამ ორდენის კაპიტულის თავმჯდომარე არა როგორც პრეზიდენტი, არამედ როგორც კერძო პირი. ამას საფუძვლად ედო დიდი სამოქალაქო მიზანი: ახალი სახელმწიფოს დემოკრატიზმის ხაზგასმა და ყოველგვარი ბილიტარისტული მისწრაფებების უარყოფა, რადგან ცინცინატის ორდენის კავალრობის კანდიდატებად

ნაგარაუდგევი იყვნენ ყოფილი სამხედროები, რომლებიც ძველი რომის პატრიციის ცინცინატის მსგავსად დაუბრუნდებოდნენ თავის ომამდელ მშვიდობიან საქმიანობას - სახნავს, გუთანს, პრინციპულ უარს იტყოდნენ სამხედროების ან არმიის მუდმივი ან პროფესიული კასტის შექმნაზე და ჩათვლიდნენ, რომ სამხედრო ვალდებულება ნებისმიერი მოქალაქისათვის უნდა იყოს დროებითი, მხოლოდ ქვეყნისათვის საომარი საშიშროების პერიოდში. ასეთი განწყობილების განზოგადებისა და მხარდაჭერის მიზნით ცინცინატის ორდენის წევრები ვარაუდობდნენ, რომ მას შემკვიდრულობითს ორდენად აქცევდნენ, რომლის წევრები იქნებოდნენ ცინცინატის ორდენის მიმდევარნი. ორდენის შექმნის მცდელობა ობსტრუქციას ემსხვერპლა და ჩაიშალა.

ყველა რესპუბლიკა როდი იდგა ასეთ პოზიციაზე. საფრანგეთმა შეინარჩუნა მისი იმპერატორის - ნაპოლეონის მიერ შემოღებული საბატო ლეგიონის ორდენი. XX საუკუნეში პირველი მსოფლიო ომის შემდეგ შექმნილმა ახალმა რესპუბლიკებმა გააუქმეს მონარქიული ორდენები და მათ ნაცვლად შემოიღეს რესპუბლიკური ორდენები (ჩეხოსლოვაკია, უნგრეთი, ფინეთი).

ფეიქრობთ, მკითხველისათვის არანაკლებ საინტერესოა საქართველოს სახელმწიფო ჯილდოების ისტორია.

ძველად საქართველოში დაჯილდოების წესი არ არსებობდა. მიღებული იყო ყმა-მამულის, ჯიშიანი ცხენის, ფულის, ძვირფასი ნივთებისა და საბრძოლო იარაღის ბოძება. ქართველი მეფეები ჯილდოებს შორის უბირატესობას საბრძოლო იარაღისა და აღჭურვილობის ჩუქებას ანიჭებდნენ. საბრძოლო იარაღით დაჯილდოების ტრადიცია ძველთაგანვე რომ არსებობდა, ამას მოწმობს XIII საუკუნის პირველი ნახევრის არაბი ისტორიკოსის ალ-ჰამადის ცნობა იმის შესახებ, რომ 1230 წლის 14 აპრილს ათაბაგმა ივანე მხარგრძელმა თავის სიძეს „ალ-აშრაფს გაუგზავნა ხმალი, რადგანაც ქართველებს წესად აქვთ, თუკი ვაიმარჯვებს მეზობელი, მას მახვილი გაუგზავნონ“. ისტორიამ შემოგვინახა არაერთი კონკრეტული ეპიზოდი, თუ როგორ აჯილდოებდნენ ქართველი მეფეები ბრძოლაში გამოჩენილი მამაცობისა და ერთგულებისათვის მეზობლებს საომარი იარაღითა და აღჭურვილობით. ქართული ფოლკლორი მდიდარია მეზობლთა ასეთი სახეებით.



ჯერ კიდევ XVIII საუკუნის მიწურულს იოანე ბაგრა-  
 ტიონმა საკმაოდ ვრცლად და დამაჯერებლად ჩამოაყალიბა  
 ქართული სახელმწიფო ჯილდოების - ორდენებისა და მედ-  
 ლების დაწესების იდეა თავის მიერ შედგენილ და „სჯულ-  
 დებად“ წოდებულ ქართლ-კახეთის სამეფოს სახელმწი-  
 ფოებრივ რეფორმათა პროექტში. მეფე გიორგი XII გარდა-  
 ცვალებისა და ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმების გამო ამ  
 უმნიშვნელოვანეს სახელმწიფოებრივ რეფორმათა განხორ-  
 ცილება ვერ მოხერხდა.

ეროვნული სახელმწიფო ჯილდოების დაწესების მცდე-  
 ლობა იყო მეცნრამეტე საუკუნის დასაწყისშიც. ქართველი  
 პატრიოტები ოქროპირ ბატონიშვილი, სოლომონ დოდაშვილი  
 და ალექსანდრე ორბელიანი აღორძინებული ქართული სა-  
 ხელმწიფოს კონსტიტუციური მონარქიის საფუძველზე მოწყო-  
 ბის იდეით იყვნენ შეპყრობილი. შეიარაღებული აჯანყების  
 წარმატებით დამთავრებისა და ხელისუფლების მოპოვების  
 შემდეგ მათ მიერ ნაგზრაუდევი იყო ქართული სახელმწიფო  
 ჯილდოების მთელი სისტემის ჩამოყალიბება. როგორც ცნო-  
 ბილია, 1932 წლის შეთქმულება - ახალი ქართული სახელმ-  
 წიფოებრიობის პირველი ცდა - იასე ფალავანდიშვილის დას-  
 მენის შედეგად ჩაგარდა.

პირველი ქართული ორდენი შეიქმნა I მსოფლიო ომის  
 დროს. 1916 წლის იანვარში ოსმალეთის ტერიტორიაზე  
 დაბანაკებული ქართული ლეგიონის საქართველოს დამოუ-  
 კიდებლობის ეროვნულმა კომიტეტმა დააწესა სამხედრო  
 წარჩინების ნიშანი, რომელსაც შემდგომ „თამარ მეფის“ ორ-  
 დენი ეწოდა. ამ ორდენით დაჯილდოება 1918 წლის მიწუ-  
 რულამდე გრძელდებოდა.

გერმანელთა მხარეზე მებრძოლმა ქართველმა ემიგრან-  
 ტებმა მიხეილ წერეთელმა და შალვა მაღლაკელიძემ 1941  
 წელს აღადგინეს „თამარ მეფის“ ორდენი, რომლითაც II  
 მსოფლიო ომში გერმანიის დამარცხებამდე აჯილდოებდნენ.

„თამარ მეფის“ ორდენის კავალერთა შორის არიან  
 როგორც ქართველები, ისე საქართველოს სახელმწიფოებრივი  
 დამოუკიდებლობის აღდგენისა და დაცვისათვის მებრძოლი  
 გერმანელები. აქედან გამომდინარე, „თამარ მეფის“ ორდენი  
 არსებითად გერმანულ-ქართული სამხედრო-პოლიტიკური  
 ალიანსის ჯილდოა, თუცა ამავე დროს, იგი პირველი ქარ-  
 თული ორდენიც არის.

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის (1918 წლის 26 მაისი) შემდეგ ქვეყნის მმართველობის სათავეში მოსულმა სოციალ-დემოკრატებმა არ იზრუნეს საკუთარი ჯილდოების დაწესებაზე. ამდენად, 1918-1921 წლებში რესპუბლიკის სამხედრო უწყება ქვეყნის დაცვაში თავგამოჩენილთ აჯილდოებდა რუსული საიმპერიო წარჩინების ნიშნებით - წმინდა გიორგის ჯვრებით, რომლებიც სამხედრო საწყობებში იყო შექონჩენილი.

საქართველოს იძულებითი გასაბჭოების (1921 წლის თებერვალ-მარტი) შემდეგ დაწესდა ქართული საბჭოთა აჯილდოები: საბრძოლო დანიშნულების - წითელი დროშის ორდენი (1921-1924 წლები), შრომის ორდენი (1928-1931 წლები) და შრომის წითელი დროშის ორდენი (1931-1936 წლები), რომლებიც ვაიცემოდა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებასა და განმტკიცებაში შეტანილი წვლილისათვის. წარჩინების ამ ნიშნებით დაჯილდოების შეწყვეტის შემდეგ საქართველოს სახელმწიფო აჯილდოების როლს ასრულებდა საბჭოთა კავშირის ორდენები და მედლები. აქვე უნდა ითქვას, რომ 1990 წლის ნოემბრამდე საქართველოს სსრ უზენაესი საბჭო სხვადასხვა დამსახურებისათვის მაინც საკუთარი წარჩინების ნიშნებით (ოღონდ არა ორდენებითა და მედლებით) აჯილდოებდა რესპუბლიკის მკვიდრთ და საბატო წოდებებსაც ანიჭებდა. არსებობდა აჯილდოები სხვადასხვა სფეროში მოღვაწე ადამიანებისათვის.

1991 წელს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ სცადა შემოეღო ქართული სახელმწიფო აჯილდოები, რაც იმხანად ვერ მოხერხდა.

საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული უშიშროებისა და თავდაცვის საბჭოს 1992 წლის 27 ნოემბრის № 18 დადგენილებით, რომელსაც ხელს აწერდა საბჭოს თავმჯდომარე ედუარდ შევარდნაძე, შეიქმნა სახელმწიფო აჯილდოების თაობაზე წინადადებების მოსამზადებელი კომისია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის ალექსანდრე ჯავახიშვილის თავმჯდომარეობით. კომისიის შემადგენლობაში იყვნენ მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების თვალსაჩინო წარმომადგენლები, ცნობილი სამხედრო და სახელმწიფო მოღვაწენი.

აქედან მიეცა დასაბამი დამოუკიდებელი საქართველოს ქართული ორდენებისა და მედლების ისტორიას.

კომისიამ ძალზე შემჭიდროებულ ვადებში წარადგინა დასკვნა: „სამშობლოს დაცვისა და ერთიანობისათვის ბრძოლაში გამოჩენილი გმირობის, მამაცობისა და დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოს მშენებლობაში განსაკუთრებული პირადი წვლილის აღსანიშნავად სახელმწიფო ჯილდოების – ორდენებისა და მედლების დაწესების შესახებ წინადადებების განხილვის საფუძველზე კომისია ადგენს: მიზანშეწონილად ჩაითვალოს შემდეგი სახელმწიფო ჯილდოების – ორდენებისა და მედლების დაწესება“. ნუსხაში ჩამოთვლილი ორდენები და მედლები, შემდგომში საქართველოს კანონით იქნა დაწესებული.

კომისიის თხოვნით საქართველოს დამსახურებულმა არქიტექტორმა გიორგი ავსაჯანიშვილმა და ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ, მხატვარმა ემირ ბურჯანაძემ უმოკლეს ვადებში შექმნეს ორდენებისა და მედლების ესკიზები. მათ ამ ჯილდოებს საფუძვლად დაუდეს ქართული ჰერალდიკური სიმბოლიკა, ჩვენი კულტურის გვირგვინი – ქართული დამწერლობა. ქართული სულით შთაბერილ ორდენტა მრგვლოვან ასომთავრულში აზრის ტეგადობის თვალსაზრისით ეროვნული სიმბოლიკა სრულყოფილად არის წარმოჩენილი (უფრო ვრცლად ამას მკითხველი ორდენების აღწერილობაში წაიკითხავს).

1992 წლის 24 დეკემბერს საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტმა მიიღო კანონი „საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ჯილდოების დაწესების შესახებ“, რომლითაც დაწესდა: „დავით აღმაშენებლის ორდენი“; „ვახტანგ გორგასლის ორდენი“ (I, II და III ხარისხის); „ღირსების ორდენი“; მედალი „მხედრული მამაცობისათვის“; მედალი „საბრძოლო დამსახურებისათვის“; „ღირსების მედალი“.

ამით კვლავ აღდგა საქართველოში ქართული სახელმწიფო ჯილდოების ტრადიცია, რაც უდავოდ დიდმნიშვნელოვანი მოვლენაა.

საქართველოს პარლამენტის მიერ 1998 წლის 26 ივნისს მიღებული კანონით „საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ჯილდოების დაწესების შესახებ“ კანონში ცვლილებებისა და დამატების შეტანის თაობაზე, სახელმწიფო ჯილდოებს კიდევ ერთი, საგანგებოდ უცხოელთა-

თვის განკუთვნილი ჯილდო - „ოქროს საწმისის“ ორდენი დაემატა.

საზოგადოებისთვის ინტერესმოკლებული არ იქნება იმის გაგება, რომ „ოქროს საწმისის“ ორდენის შექმნის იდეა თავად საქართველოს პრეზიდენტს ედუარდ შევარდნაძეს ეკუთვნის. ორდენის შესაქმნელად თითქმის ერთი წელი ვმუშაობდით მხატვართა და ჰერალდიკოსთა რამდენიმე ჯგუფთან ერთად. წარმოდგენილ პროექტებსა და ესკიზებს შორის უპირატესობა მიენიჭა იმ ჯგუფის მიერ წარმოდგენილ ესკიზს, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ მხატვარი მამუკა გონგაძე და ჰერალდიკოსი მამუკა წურწუშია. დღეს არსებულ „ოქროს საწმისის“ ორდენზე საავტორო უფლება მათ ეკუთვნით.

„ოქროს საწმისი“ კაცობრიობის პრესტიჟიული წარსულიდან მომდინარე საკრალური ხატია. მითოლოგიური ეპოსის სახესიმბოლოთა შესაბამისად, ისიც მრავალგანზომილებიანია. „ოქროს საწმისი“ ადამიანის მარადიული ღვთაებრივი არსის გამონახულებაა. იგი მოსაბოვებელი აქვს კაცობრიობას. მისი მობოვება ადამიანის ამაღლებას, სულიერ სრულყოფას, სამყაროს ღვთაებრივ არსთან ზიარებას ნიშნავს. მისი მიღწევა სიძნელეთა გადალახვითაა შესაძლებელი. სიბრძნე და გონიერება ქალის სახით შემწედ მოევლინა მაძიებელთა. ეს ძიება დიდ მსხვერპლს მოითხოვს. „ოქროს საწმისი“ ეს არის ქართველთა უძველესი სახელმწიფოებრიობის (კოლხეთი) სიმბოლო, ანტიკურ კულტურულ სამყაროსთან მჭიდრო კავშირის დასტური და დღევანდელ დღეს დასავლური ფასეულობებისაკენ ქართველთა უწყვეტი ლტოლვის გამონახულება.

საზოგადოებას უდავოდ აინტერესებს, ვინ არიან დამოუკიდებელი საქართველოს ქართული ორდენების პირველი კავალრები. სწორედ ამიტომ გვსურს უფრო დაწვრილებით მოგაწოდოთ მათი ბიოგრაფიული ცნობები, საბრძოლო დამსახურება და საზოგადოებრივი მოღვაწეობა.

**ვანტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენით საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის 1992 წლის 25 დეკემბრის №10 ბრძანებულებით დაჯილდოვდა საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების მფრინავი - გვარდიის პოლკოვნიკი ჯიმშერ დიმიტრის ძე მაისურაძე.**

ჯ. მაისურაძე დაიბადა 1949 წლის 25 მარტს ლაგოდეხის რაიონის სოფელ გიორგეთში.

1992 წლის 2 აპრილს იგი დაინიშნა ეროვნული გვარდიის საავიაციო ნაწილის მეთაურად. მონაწილეობდა სამაჩაბლოში მიმდინარე მოვლენებსა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლებში. ჯ. მაისურაძე მაღალპროფესიულ დონეზე ასრულებდა სარდლობის დავალებებს. პირადი მამაცობის შედეგად მან მრავალი ქართველი მეომრის სიცოცხლე გადაარჩინა. 1992 წლის 22 დეკემბერს საბრძოლო დავალების შესრულების დროს იგი გმირულად დაიღუპა.

ვანტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენი მას მიენიჭა სიკვდილის შემდეგ ერის წინაშე განსაკუთრებული დამსახურების, სამშობლოს დაცვისა და ერთიანობისათვის ბრძოლებში გამოჩენილი გმირული თავდადებისა და მამაცობისათვის.

**ვანტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენით საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის 1992 წლის 25 დეკემბრის № 11 ბრძანებულებით დაჯილდოვდა საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების მფრინავი, გვარდიის კაპიტანი მერაბ სერგოს ძე გელაშვილი.**

მ. გელაშვილი დაიბადა 1966 წლის 8 ივლისს გალის რაიონის სოფელ მუხურაში.

1992 წლის 4 დეკემბერს იგი დაინიშნა ეროვნული გვარდიის მფრინავ-შტურმანის თანამდებობაზე. მონაწილეობდა აფხაზეთში მიმდინარე საბრძოლო ოპერაციებში. შეასრულა მნ საბრძოლო გაფრენა. მ. გელაშვილმა პირნათლად მოიხადა თავისი მხედრული ვალი. იგი დაიღუპა 1992 წლის 22 დეკემბერს საბრძოლო დავალების შესრულების დროს.

ვანტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენი მას მიენიჭა სიკვდილის შემდეგ სამშობლოს დაცვისა და ერთიანობისათვის ბრძოლაში გამოჩენილი თავდადების, სამხედრო ხელმძღვა-

ნელობის მიერ მიცემული საბრძოლო დაგალების წარმატებით შესრულებისათვის.

**ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენით** საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის 1993 წლის 28 თებერვლის №23 ბრძანებულებით დაჯილდოვდნენ საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს შეიარაღებული ძალების მეორე საარმიო კორპუსის სამხედრო მოსამსახურეები:

გენო ადამია - 23-ე მექანიზებული ბრიგადის მეთაური; ალექსანდრე გეორბელიძე - 23-ე მექანიზებული ბრიგადის პირველი მექანიზებული ბატალიონის დაზვერვის სამსახურის უფროსი (სიკვდილის შემდეგ); ზაურ უჩაძე - კორპუსის მეთაურის პირველი მოადგილე; ვალერი ქვარაია - კორპუსის შტაბის უფროსი, მეთაურის მოადგილე; ემზარ ჭოჭუა - კორპუსის სარაკეტო ჯარებისა და საარტილერიო სამსახურის უფროსი; თენგიზ ძაძაძია - 23-ე მექანიზებული ბრიგადის პირველი მექანიზებული ბატალიონის პირველი ასეულის მეთაური (სიკვდილის შემდეგ).

ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენი მათ მიენიჭათ სამშობლოს დაცვისა და ერთიანობისათვის ბრძოლაში გამოჩენილი გმირობის, მამაცობისა და თავდადებისთვის.

**მედლით „მხედრული მამაცობისათვის“** საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის 1993 წლის 3 იანვრის №1 ბრძანებულებით დაჯილდოვდა ოსურგეთის შინაგან საქმეთა რაიგანყოფილების წესრიგისა და უშიშროების დაცვის პოლიციის საგზაო პოლიციის ქვეგანყოფილების ადმინისტრაციული პრაქტიკის ინსპექტორი, პოლიციის მაიორი ნუგზარ ამირანის ძე სეფერთელაძე.

ნ. სეფერთელაძე დაიბადა 1952 წელს ქ. ოსურგეთში. 1981 წლის 10 ოქტომბრიდან იგი მსახურობდა შინაგან საქმეთა ორგანოებში და თავი გამოიჩინა, როგორც კეთილსინდისიერმა და შრომისმოყვარე მუშაკმა. ნ. სეფერთელაძე დაიღუპა 1992 წლის 28 დეკემბერს ძებნაში მყოფი ბოროტმოქმედის დაკავებისას.

მედალი „მხედრული მამაცობისათვის“ მას მიენიჭა სიკვდილის შემდეგ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას

გამოჩენილი პირადი მამაცობისა და გაბედული მოქმედებისათვის.

**მედლით „საბრძოლო დამსახურებისათვის“** საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის 1993 წლის 28 თებერვლის № 23 ბრძანებულებით დაჯილდოვდა საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს შეიარაღებული ძალების მეორე კორპუსის 23-ე მექანიზებული ბრიგადის პირველი მექანიზებული ბატალიონის უფროსი მზვერავი რაშიდ მინჯილის ძე ანთია.

რ. ანთია დაიბადა 1961 წლის 15 აპრილს სოხუმის რაიონის სოფელ აკაფაში. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლის დროს იგი აქტიურად ჩაება საბრძოლო ოპერაციებში, ჩაირიცხა მზვერავთა რიგებში და საზრიანი მოქმედებით ბევრი სასარგებლო ინფორმაცია მოიპოვა. 1993 წლის 5 იანვარს მისი თავგანწირული მოქმედების შედეგად მოწინააღმდეგის მიერ დაგეგმილი საბრძოლო ოპერაცია ჩაიშალა.

მედალი „საბრძოლო დამსახურებისათვის“ მას მიენიჭა სამშობლოს დაცვისა და ერთიანობისათვის ბრძოლებში გამოჩენილი გმირობის, მამაცობისა და თავდადებისათვის.

**ღირსების ორდენით** საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის 1993 წლის 10 აპრილის № 37 ბრძანებულებით დაჯილდოვდა საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს სამხედრო პოლიციის სამმართველოს ცალკეული საპატრულო ბატალიონის მეთაურის მოადგილე, მაიორი ვახტანგ მინჯილის ძე კაპანაძე.

გ. კაპანაძე დაიბადა 1960 წელს ქ. თბილისში. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლის დროს იგი სოხუმში ხელმძღვანელობდა შტაბის მუშაობას. ოჩამჩირეში, სოფელ ლაბრის ადებისათვის გამართული ბრძოლისას მან გმირულად ჩაახშო მოწინააღმდეგის რამდენიმე საცეცხლე წერტი, არტილერიას ბრძოლის წინა ხაზიდან უკეთებდა კორექტირებას, რის შედეგადაც მოისპო მოწინააღმდეგის რამდენიმე დასაყრდენი პუნქტი.

ღირსების ორდენი მას მიენიჭა სამშობლოს დაცვისა და ერთიანობისათვის ბრძოლაში გამოჩენილი გმირობის, მამაცობისა და თავდადებისათვის.

**ღირსების მედლით** საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის 1993 წლის 10 აპრილის № 37 ბრძანებულებით დაჯილდოვდა საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს სამხედრო პოლიციის ბრიგადის კავშირგაბმულობის უფროსი, ლეიტენანტი მალხაზ კონსტანტინეს ძე ბეგიაშვილი.

მ. ბეგიაშვილი დაიბადა 1960 წელს ქ. თბილისში. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლის დროს მან, როგორც სამხედრო პოლიციის გაერთიანებული ბატალიონის კავშირგაბმულობის ოცეულის მეთაურმა, დიდი სამუშაო ჩაატარა ქ. თბილისში ბატალიონის ქვედანაყოფების კავშირით უზრუნველყოფაში, რამაც ხელი შეუწყო სოფელ ბესლანუბასთან გამართულ ბრძოლაში ქვედანაყოფების ბრძოლისუნარიანობის ამაღლებას.

ღირსების მედალი მას მიენიჭა სამშობლოს დაცვისა და ერთიანობისათვის ბრძოლაში გამოჩენილი გმირობის, მამაცობისა და თავდადებისათვის.

**დავით აღმაშენებლის ორდენით** საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 21 დეკემბრის № 743 ბრძანებულებით აღსაყდრების 20 წლისთავთან დაკავშირებით დაჯილდოვდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის დამოუკიდებლობის აღდგენა-აღორძინებაში, ქართველი ერის სულიერ და ფიზიკურ გადარჩენაში, საქართველოს სახელმწიფოებრიობის მშენებლობაში შეტანილი დიდი წვლილისათვის, სხვა რელიგიური აღმსარებლობისა და რწმენისადმი შემწყნარებლობის დამკვიდრებისათვის, საზოგადოების ერთიანობისა და ქვეყნის გამთლიანებისათვის ბრძოლაში განსაკუთრებული ღვაწლისათვის.



„ოქროს საწმისის ორდენით“ საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 1 ივნისის № 630 განკარგულებით დაჯილდოვდა მსოფლიო ბანკის პრეზიდენტი ჯეიმს ვულფენსონი.

მსოფლიო ბანკის მიერ დაფუძნებული „კულტურული მემკვიდრეობის ინიციატივის“ პროგრამა მიზნად ისახავს დაეხმაროს საქართველოს მთავრობას კულტურული მემკვიდრეობისა და ისტორიულ ძეგლთა დაცვის უზრუნველყოფაში და ფართოდ ჩააბას საზოგადოება ამ საკითხის მოგვარებაში. ჯეიმს ვულფენსონს უდიდესი წვლილი მიუძღვის პროექტის შემუშავებაში. მსოფლიო ბანკმა თავის ისტორიაში უბრეცედენტო ნაბიჯი გადადგა და ერის სულიერი და მატერიალური კულტურის შენარჩუნებისათვის საქართველოს ინტერესის გათვალისწინებით პირველად შეიმუშავა პროექტი კულტურის სფეროში.

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის პროგრამას სოციალური და ეკონომიკური დატვირთვაც აქვს - კულტურულ მემკვიდრეობაზე ზრუნვა ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური სფეროს განვითარებას უნდა იწვევდეს. ეს არის ცდა, ჩამოყალიბდეს მოდელი,

თუ როგორ უნდა გაიმართლოს მუშაობა კულტურული მემკვიდრეობის სფეროში საბაზრო ეკონომიკისაკენ მიმავალი ქვეყნისათვის.

ჯ. ვულფენსონის ინიციატივით მსოფლიო ბანკმა გადაწყვიტა კულტურული მემკვიდრეობის პროექტის დაფინანსება, რომლის მთავარ მიზანს კონკრეტული კულტურული ძეგლების გადარჩენასთან ერთად, მისი სოციალურ-ეკონომიკური დატვირთვაც წარმოადგენს. პროექტის განსაკუთრებული ინტერესის სფეროში საქართველოს ექვს სწავადასწავა რეგიონთან ერთად მოექცა ძველი თბილისიც. ექსპედიციების მუშაობისას დაფიქსირდა საკმაოდ რაოდენობის ისტორიულ-კულტურული ღირებულების ობიექტები, რომლებიც აქამდე არსად არ იყო აღნუსხული და არც ერთ სიაში არ შედიოდა, მოხდა მათი ფოტოფიქსაცია.

1998 წლის 18 თებერვალს ვაშინგტონში, მსოფლიო ბანკში ხელი მოეწერა დოკუმენტს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვისათვის 5 მილიონი აშშ დოლარის კრედიტის გამოყოფის შესახებ.

მსოფლიო ბანკის მიერ შემოთავაზებული პროექტი, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სახელმწიფო პროგრამა, უპირველეს ყოვლისა ქართული საზოგადოების სულიერების დაცვას, მატერიალური კულტურის გა-

დარჩენას, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას და საბოლოოდ, ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებას ისახავს მიზნად.

„ოქროს საწმისის“ ორდენი ჯეიმს ვულფენსონს მიენიჭა საქართველოს სახელმწიფოს აღმშენებლობაში, ეკონომიკის რეფორმირებასა და ქართული კულტურის შემკვიდრეობის გადარჩენაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის.

წინამდებარე წიგნი „წიგნი ღირსებისა“, დამოუკიდებელი საქართველოს ღირსეულ მამულიშვილთა წარმოჩენის პირველი ცდაა. ჩვენი მიზანია შთამომავლობას შემოვუნახოთ ქვეყნის სახელმწიფო ჯილდოების შექმნის ისტორია და მათი სახელები, ვისი თავგანწირვაც ქვეყნის დამოუკიდებლობისა და მთლიანობისათვის, განსაკუთრებული წვლილი მშვიდობიანი აღმშენებლობის პერიოდში გამოჩენულ ადგილს დაიკავებს საქართველოს უახლეს ისტორიაში.

*თამაზ ყიფიანი*

საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული  
უშიშროებისა და თავდაცვის საბჭო

დადგენილება №18

27 ნოემბერი

1992 წელი

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ჯილდოების  
თაობაზე წინადადებების უსამუშაოვლად კომისიის  
შექმნის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული უშიშროებისა და თავდაცვის საბჭო ადგენს:

1. შეიქმნას კომისია წინადადებების შესამუშავებლად სამშობლოს დაცვის დროს გამოჩენილი გმირობის, მამაცობისა და დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოს მშენებლობაში განსაკუთრებული წვლილის აღსანიშნავად სახელმწიფო ჯილდოების (ორდენი, მედალი და სხვა) დაარსებისათვის შემდეგი შემადგენლობით:

**ალექსანდრე ჯავახიშვილი** - საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი (თავმჯდომარე)

**წევრები:**

**ლერი აბაშიძე** - ეროვნული უშიშროებისა და თავდაცვის საბჭოს ინსპექტორებისა და კონსულტანტების ჯგუფის უფროსი - მთავარი სამხედრო მრჩეველი

**ელგუჯა ამაშუკელი** - საქართველოს რესპუბლიკის მხატვართა კავშირის თავმჯდომარე

**ჭაბუა ამირეჯიბი** - მწერალი, საქართველოს პარლამენტის წევრი

**ალექსანდრე ბერიძე** - ომისა და შრომის ვეტერანთა საბჭოს თავმჯდომარე - საქართველოს პარლამენტის წევრი

**ნაირა გელაშვილი** - მწერალი

**კახა გველესიანი** -

საქართველოს  
პარლამენტის  
ეროვნული  
ბიბლიოთეკა

- ოთარ ლითანიშვილი** - ქ.თბილისის მერი, საქართველოს პარლამენტის წევრი
- მარიამ ლორთქიფანიძე** - საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი
- თორნიკე პაპაგა** - საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ორგანოების სამმართველოს უფროსი - პოლკოვნიკი
- გია ყარყარაშვილი** - ბრიგადის გენერალი.

2. დაევალოს კომისიას ერთი თვის ვადაში შეიმუშაოს ქართული სახელმწიფო ჯილდოების ნიმუშები, დებულების პროექტი სახელმწიფო ჯილდოების შესახებ და წარმოუდგინოს ეროვნული უშიშროებისა და თავდაცვის საბჭოს წინასწარ განსახილველად.

*საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული  
უშიშროებისა და თავდაცვის საბჭოს  
თავმჯდომარე*

*ე. შევარდნაძე*

## საქართველოს რესპუბლიკის კანონი

### საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ჯილდოების დაწესების შესახებ

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

1. დაწესდეს საქართველოს რესპუბლიკის უემდეგი სახელმწიფო ჯილდოები - ორდენები და მედლები:  
დავით აღმაშენებლის ორდენი;  
ვახტანგ გორგასლის ორდენი - I, II, III ხარისხისა;  
ღირსების ორდენი;  
მედალი „მხედრული მამაცობისათვის“;  
მედალი „საბრძოლო დამსახურებისათვის“;  
ღირსების მედალი.
2. დამტკიცდეს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ჯილდოების - ორდენებისა და მედლების დებულება.
3. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა გადაწყვიტოს საქართველოს სახელმწიფო ჯილდოების დასამზადებლად ხარჯების გამოყოფის საკითხი.

*საქართველოს პარლამენტის  
თავმჯდომარე - სახელმწიფოს მეთაური*

*ე. შევარდნაძე*

*საქართველოს პარლამენტის სპიკერი*

*ვ. გოგუაძე*

თბილისი, 1992 წლის 24 დეკემბერი

## საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ჯილდოების - ორდენებისა და მედალების დაცვა

1. საქართველოს რესპუბლიკის იმ მოქალაქეთა დასა-  
ჯილდოებლად, რომელთაც გმირობა, მამაცობა გამოიჩინეს  
სამშობლოს დაცვისა და ერთიანობისათვის ბრძოლაში,  
განსაკუთრებული პირადი წვლილი მიუძღვით დამოუკი-  
დებელი ქართული სახელმწიფოს მშენებლობაში, დაწესე-  
ბულია საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ჯილ-  
დოები - ორდენები და მედალები:

**დავით აღმაშენებლის ორდენი;**  
**ვახტანგ გორგასლის ორდენი - I, II, III ხარისხისა;**  
**ღირსების ორდენი;**  
**მედალი „მხედრული მამაცობისათვის“;**  
**მედალი „საბრძოლო დამსახურებისათვის“;**  
**ღირსების მედალი.**

2. **დავით აღმაშენებლის ორდენით** ჯილდოვდებიან  
სამოქალაქო, სამხედრო და სასულიერო პირნი, გამო-  
ჩენილი სახელმწიფო მოღვაწენი ქართველი ერის წინაშე  
უდიდესი ღვაწლის, საქართველოს სახელმწიფოებრივი  
დამოუკიდებლობისათვის ბრძოლისა და აღორძინების, სა-  
ზოგადოების კონსოლიდაციის, დემოკრატიის დამკვიდრების  
საქმეში შეტანილი თვალსაჩინო პირადი წვლილისათვის.

3. **ვახტანგ გორგასლის ორდენით** ჯილდოვდებიან  
საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო მოსამსახურენი,  
რომლებმაც სამშობლოს დაცვისა და ერთიანობისათვის  
ბრძოლაში გამოიჩინეს გმირული თავდადება და მამა-  
ცობა, უნარიანი ხელმძღვანელობით უზრუნველყვეს სამ-  
ხედრო ნაწილებისა და ქვედანაყოფების წარმატება, შეი-  
ძუშავეს და განახორციელეს საბრძოლო ოპერაციები.

ვახტანგ გორგასლის ორდენი სამი ხარისხისაა. დაჯილ-  
დობა ხდება ასეთი თანმიმდევრობით:

**III ხარისხის** ორდენით ჯილდოვდებიან სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს გამოჩენილი მაღალი საბრძოლო მომხადებისათვის.

**II ხარისხის** ორდენით ჯილდოვდებიან სამხედრო ხელმძღვანელობის მიერ მიცემული საბრძოლო დაგალების წარმატებით შესრულებისათვის.

**I ხარისხის** ორდენით ჯილდოვდებიან ერისა და სამშობლოს წინაშე განსაკუთრებული დამსახურების, თავდადებისა და თავგანწირვისათვის.

4. **ღირსების ორდენით** ჯილდოვდებიან მოქალაქენი დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოს მშენებლობაში - მმართველობის, თავდაცვის, კანონიერების და მართლწესრიგის განმტკიცების, სახალხო მეურნეობის, ჯანმრთელობის დაცვის, მეცნიერების, განათლების, კულტურის, ლიტერატურის, ხელოვნების დარგებში შეტანილი განსაკუთრებული პიროვნული წვლილისათვის, გმირობისა და თავდადებისათვის, სპორტული მიღწევებისათვის (23.12.1993 წლის ცვლილებით).

5. **„მხედრული მამაცობის“ მედლით** ჯილდოვდებიან საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო მოსამსახურეები, პოლიციის მუშაკები მამულის დაცვისას პიროვნული მამაცობისა და მხედრული ვალის შესრულებისათვის, გაუკაცობისა და გაბედული მოქმედებისათვის.

6. **„საბრძოლო დამსახურების“ მედლით** ჯილდოვდებიან საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო მოსამსახურენი და სამოქალაქო პირნი სამშობლოს დაცვისა და ერთიანობის უზრუნველყოფაში განსაკუთრებული პიროვნული დამსახურებისათვის.

7. **„ღირსების“ მედლით** ჯილდოვდებიან საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქენი საქართველოს აღორძინების საქმეში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისა და ღირსეული სამსახურისათვის.

## საქართველოს სახელმწიფო მეთაურის

### ბრძანებულება № 3

#### საქართველოს რესპუბლიკის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოების წესის შესახებ

**მუხლი 1.** სამშობლოს დაცვისა და ერთიანობისათვის ბრძოლაში გამოჩენილი მამაცობისათვის, აგრეთვე ქართული სახელმწიფოს მშენებლობაში განსაკუთრებული პირადი წვლილის აღსანიშნავად საქართველოს პარლამენტის მიერ დაწესებულია საქართველოს რესპუბლიკის ორდენები და მედლები.

**მუხლი 2.** საქართველოს რესპუბლიკის ორდენებითა და მედლებით აჯილდოებს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფოს მეთაური.

საქართველოს რესპუბლიკის ორდენებითა და მედლებით შეიძლება დაჯილდოვდნენ როგორც საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეები, ისე უცხო ქვეყნების მოქალაქეები და მოქალაქეობის არმქონე პირები.

**მუხლი 3.** საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ჯილდოების აღწერილობა, იმ დამსახურებათა ჩამონათვალი, რომლისთვისაც ხდება დაჯილდოება, აგრეთვე დაჯილდოების და ჯილდოების ტარების სპეციალური წესები განისაზღვრება საქართველოს რესპუბლიკის ორდენებისა და მედლების შესახებ დებულებებით.

**მუხლი 4.** საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ჯილდოებით ჯილდოვდებიან მხოლოდ კონკრეტული დამსახურებისათვის, დაუშვებელია დაჯილდოება მხოლოდ ნამსახურევი წლების ან საიუბილეო თარიღის გამო.

დაჯილდოებული პირები ახალი დამსახურების გამო შეიძლება კვლავ დაჯილდოვდნენ იმავე ან სხვა ორდენებითა და მედლებით, თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული საქართველოს რესპუბლიკის ორდენებისა და მედლების შესახებ დებულებებით.

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ჯილდოებით დაჯილდოება შეიძლება სიკვდილის შემდეგაც.



**მუხლი 5.** საქართველოს რესპუბლიკის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოება ხდება საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების, საქართველოს რესპუბლიკის სამინისტროებისა და სხვა რესპუბლიკური უწყებების წარდგინებით.

წარდგინების შეტანა ხდება როგორც აღნიშნული ორგანოების ინიციატივით, ისე მათ დაქვემდებარებული ორგანოების შუამდგომლობით.

**მუხლი 6.** საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ჯილდოებით დაჯილდოების შუამდგომლობას აღძრავს ის დაწესებულება, რომელშიც მუშაობს დასაჯილდოებელი პირი ან ის ორგანო, რომლის დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე ცხოვრობს იგი. უცხოეთში მცხოვრებ დასაჯილდოებელ პირებზე შუამდგომლობა აღიძვრება საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროში.

შუამდგომლობის აღძვრის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას ივსება თანდართული ნიმუშის (ფორმა №1) დაჯილდოების ფურცელი და ორი კვირის ვადაში წარედგინება ზემდგომ ორგანოს, რომელიც შუამდგომლობაზე თანხმობის შემთხვევაში დაჯილდოების ფურცელს იმავე ვადაში გადასცემს მასზე ზემდგომ ორგანოს.

ჯილდოზე წარდგენის უფლების მქონე ორგანოში შესულ შუამდგომლობას იხილავს ეს ორგანო და თანხმობის შემთხვევაში დაჯილდოების ფურცელს წარუდგენს საქართველოს სახელმწიფოს მეთაურს.

საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს, შინაგან საქმეთა სამინისტროსა და საინფორმაციო-სადაზვერვო სამსახურს შეუძლიათ სახელმწიფოს მეთაურთან შეთანხმებით დაადგინონ სამხედრო მოსამსახურეების, შინაგან საქმეთა სამინისტროს მუშაკებისა და საინფორმაციო-სადაზვერვო სამსახურის თანამშრომლების დაჯილდოების შესახებ შუამდგომლობის აღძვრის განსხვავებული წესები.

**მუხლი 7.** საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ჯილდოზე წარდგენილი პირის დაჯილდოება ხდება საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის ბრძანებულებით, რომელიც ქვეყნდება პრესაში. დაჯილდოების შესახებ ბრძანებულება არ გამოქვეყნდება, თუ ამას მოითხოვს ეროვნული უშიშროების ინტერესები.

**მუხლი 8.** დაჯილდოებულ პირს ჯილდოს და შესაბამის მოწმობას სახეიმო ვითარებაში გადასცემს სახელმწიფოს მეთაური ან მისი დავალებით საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი, პარლამენტის სპიკერი, პარლამენტის წევრები, მთავრობის წევრები, ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოების ხელმძღვანელები, მმართველობის ადგილობრივი ორგანოების ხელმძღვანელები, სამხედრო ხელმძღვანელები და სხვა ოფიციალური პირები.

სიკვდილის შემდეგ დაჯილდოების შემთხვევაში ჯილდო გადაეცემა დაჯილდოებულის ოჯახს.

ჯილდოს გადაცემის შესახებ ივსება თანდართული ნიმუშის (ფორმა №2) საადრიცხვო ბარათი და ოქმი (ფორმა №3), რომელსაც ხელს აწერს ჯილდოს გამამცემი პირი. ეს დოკუმენტები ერთი თვის ვადაში ბარდება საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის აპარატს.

**მუხლი 9.** საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფოს ჯილდოებით დაჯილდოებულ პირებს უფლება აქვთ საქართველოს რესპუბლიკის ორდენებისა და მედლების დებულებებით დადგენილი წესების შესაბამისად ატარონ ჯილდოები ან მათი აღმნიშვნელი ნიშნები.

**მუხლი 10.** დაჯილდოებული გარდაცვლილი პირის ან სიკვდილის შემდეგ დაჯილდოებულის მემკვიდრეთა თანხმობით მისი ჯილდო და შესაბამისი დოკუმენტი შეიძლება გადაეცეს სახელმწიფო მუზეუმს.

თუ დაჯილდოებულ გარდაცვლილ პირს ან სიკვდილის შემდეგ დაჯილდოებულს არა ჰყავს მემკვიდრე, ჯილდო გადაეცემა ან რჩება სახელმწიფოს.

**მუხლი 11.** საქართველოს რესპუბლიკის ორდენებისა და მედლების დუბლიკატები საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის განკარგულებით გაიცემა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაჯილდოებულს არ შეეძლო მათი დაკარგვის ან დაზიანების თავიდან აცილება.

**მუხლი 12.** საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ჯილდოს ჩამორთმევა შეუძლია მხოლოდ საქართველოს სახელმწიფოს მეთაურს დაჯილდოებულის მიერ შეურაცხმყოფელი საქციელის ან კანონით განსაზღვრული სახის დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში შესაბამისად ჯილდოზე წარმდგენი ორგანოს ან სასამართლოს წარდგინების საფუძველზე.

**მუხლი 13.** საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ჯილდოების მსგავსი სამკერდე ნიშნების დაწესება, დამზადება და სახელმწიფოს ჯილდოების ტარება საამისო უფლების არმქონე პირის მიერ, აგრეთვე სახელმწიფო ჯილდოების სხვა სახის შეურაცხყოფა ისჯება საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

### **ე. შევარდნაძე**

თბილისი, 1993 წლის 18 იანვარი

## **საქართველოს რესპუბლიკის კანონი**

**საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ჯილდოების -  
ორდენებისა და მედლების დებულებაში დამატების  
შეტანის თაობაზე**

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

საქართველოს რესპუბლიკის 1992 წლის 24 დეკემბრის კანონით დამტკიცებულ საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ჯილდოების - ორდენებისა და მედლების დებულების მე-4 პუნქტს სიტყვების „ხელოვნების დარგებში“ შეტანილი განსაკუთრებული პირადი წვლილისათვის“ შემდეგ დაემატოს სიტყვები „სპორტული მიღწევებისათვის“.

**საქართველოს პარლამენტის  
თავმჯდომარე - სახელმწიფოს  
მეთაური**

**ედუარდ შევარდნაძე**

**საქართველოს პარლამენტის  
სპიკერი**

**ვანტანგ გოგუაძე**

თბილისი, 1993 წლის 23 დეკემბერი

## საქართველოს კანონი

**«საქართველოს სახელმწიფო ჯილდოების დაწესების  
შესახებ» საქართველოს კანონში დამატებისა და  
ცვლილების შეტანის თაობაზე**

1. „საქართველოს სახელმწიფო ჯილდოების დაწესების შესახებ“ საქართველოს კანონის (საქართველოს პარლამენტის უწყებები, 1992 წ., № 2, მუხ.100) პირველ პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ბ“ ქვეპუნქტი:

„ბ) ოქროს საწმისის ორდენი;“, ხოლო „ბ“-„გ“ ქვეპუნქტები შესაბამისად ჩაითვალოს „გ“-„ზ“ ქვეპუნქტებად.  
II. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

*საქართველოს პრეზიდენტი*

*ედუარდ შევარდნაძე*

თბილისი, 1998 წლის 26 ივნისი.

## საქართველოს პარლამენტის

### დადგენილება

**«საქართველოს სახელმწიფო ჯილდოების - ორდენებისა  
და მედლების დებულებაში» დამატებისა და  
ცვლილებების შეტანის თაობაზე**

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

I. „საქართველოს სახელმწიფო ჯილდოების - ორდენებისა და მედლების დებულებაში“ (საქართველოს პარ-

ლაპენტის უწყებები, 1992 წ., № 2, მუხ.101) შეტანილ იქნეს შემდეგი დამატება და ცვლილება:

1. დებულებას დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-3 პუნქტი:

„3. ოქროს საწმისის ორდენით ჯილდოვდებიან უცხოელი მოქალაქეები და მოქალაქეობის არმქონე პირები, რომელთაც განსაკუთრებული წვლილი შეიტანეს საქართველოს სახელმწიფოს აღმშენებლობაში, მისი ეროვნული უშიშროების ინტერესების, სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის დაცვაში, დემოკრატიული და თავისუფალი საზოგადოების ჩამოყალიბებაში, უცხოეთის სახელმწიფოებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ორმხრივად სასარგებლო ურთიერთობის დამყარებაში, საზღვარგარეთ საქართველოს მოქალაქეების უფლებების დაცვაში, ქართული კულტურის პოპულარიზაციაში, ქართული მეცნიერებისა და ხელოვნების განვითარებაში“.

2. მე-3-7 პუნქტები შესაბამისად ჩაითვალოს მე-4-8 პუნქტებად.

II. ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

*საქართველოს პარლამენტის  
თავმჯდომარე*

*ზურაბ ჟვანია*

თბილისი, 1998 წლის 26 ივნისი.

## საქართველოს კანონი

### «საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ჯილდოების დაჯილდოების შესახებ» საქართველოს რესპუბლიკის კანონში ცვლილებების და დამატებების შეტანის თაობაზე

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

I. „საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ჯილდოების დაჯილდოების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის 1992 წლის 24 დეკემბრის კანონში (საქართველოს პარლამენტის უწყებები, 1992 წ., №2, მუხ. 100) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

1. კანონის სათაურიდან და ტექსტიდან ამოღებულ იქნეს სიტყვა „რესპუბლიკის“.

2. პირველი პუნქტის აბზაცები აღინიშნოს ანბანის მიხედვით და ჩაითვალოს ქვეპუნქტებად.

3. კანონიდან ამოღებულ იქნეს მე-3 პუნქტი.

4. კანონს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-3, მე-4, მე-5 და მე-6 პუნქტები:

„3. დაწესდეს საქართველოს სახელმწიფო ჯილდოებზე ერთდროული ფულადი პრემია:

ა) დავით აღმაშენებლის ორდენზე - შრომის ანაზღაურების 200 მინიმალური ოდენობით;

ბ) ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენზე - შრომის ანაზღაურების 100 მინიმალური ოდენობით;

გ) ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენზე - შრომის ანაზღაურების 50 მინიმალური ოდენობით;

დ) ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენზე - შრომის ანაზღაურების 30 მინიმალური ოდენობით;

ე) ღირსების ორდენზე - შრომის ანაზღაურების 30 მინიმალური ოდენობით;

ვ) მედალზე „მხედრული მამაცობისათვის“ - შრომის ანაზღაურების 20 მინიმალური ოდენობით.

4. საქართველოს სახელმწიფო ჯილდოებით სიკვდილის შემდეგ დაჯილდოების შემთხვევაში ერთდროული ფულადი პრემია გადაეცემა დაჯილდოებული პირის მეგობრებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრული წესით.

5. მედლით „მხედრული მამაცობისათვის“ სამჯერ დაჯილდოებულ პირს გადაეცემა პრეზიდენტის სამახსოვრო საჩუქარი.

6. დავით აღმაშენებლის ორდენით, ვახტანგ გორგასლის I, II და III ხარისხის ორდენებით დაჯილდოებული პირი სარგებლობს:

ა) დადგენილი წესით ქვეყნის შიგნით საზოგადოებრივი ტრანსპორტით სახელმწიფოს ხარჯზე მგზავრობის უფლებით;

ბ) კანონით დადგენილი წესით სახელმწიფოს ხარჯზე სავალდებულო სამედიცინო დაზღვევით.“

II. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

*საქართველოს პრეზიდენტი*

*ედუარდ შევარდნაძე*

თბილისი, 1997 წლის 28 ოქტომბერი.

ამონარიდი

### საქართველოს კანონი

«საქართველოს ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილებებისა და დამატებების უბტანის თაობაზე»

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

XIV. „საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ჯილდოების დაწესების შესახებ“ საქართველოს კანონს (საქართველოს პარლამენტის უწყებები, 1992, №2, მუხ. 100) დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-7 პუნქტი:

„7. ამ კანონის მე-3 პუნქტი ამოქმედდეს 2001 წლის იანვრიდან“.

**საქართველოს პრეზიდენტი**

**ედუარდ შევარდნაძე**

ქ. თბილისი, 1999 წლის 24 დეკემბერი.

ამონარიდი

**საქართველოს კანონი**

**«საქართველოს ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე»**

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

II. „საქართველოს სახელმწიფო ჯილდოების დაწესების შესახებ“ საქართველოს კანონის (საქართველოს პარლამენტის უწყებები, 1992, №2, მუხ. 100) მე-7 პუნქტში რიცხვი „2001“ შეიცვალოს რიცხვით „2002“.

**საქართველოს პრეზიდენტი**

**ედუარდ შევარდნაძე**

თბილისი, 2000 წლის 13 დეკემბერი.



**1997**  
**წელი**

საქართველოს პრეზიდენტის  
ბრძანებულება



№ 8

1997 წლის 6 იანვარი

ქ. თბილისი

საქართველოს კავშირგაბმულობისა და ფოსტის სამინისტროს  
თანამშრომელთა საქართველოს ორდენებითა და მედალებით  
დაჯილდოების უმსახუბ

კავშირგაბმულობის სისტემაში სტაბილიზაციის განმტკიცებ-  
ბისათვის, დარგში დაწყებულ აღმავლობასა და მატერიალურ-  
ტექნიკური ბაზის განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის  
კავშირგაბმულობისა და ფოსტის სამინისტროს სისტემის მუშა-  
კები დაჯილდოვდნენ საქართველოს ორდენებითა და მედ-  
ლებით:

**ღირსების ორდენით:**

- ზაურ ადეიშვილი** - შპს „საქართველოს ელექტროკავშირის“  
ფილიალ „თბილისის სატელეფონო ქსელის“ მრჩილავი
- ქეთინო გოგობერიშვილი** - სახაზინო საწარმო „საქალაქთა-  
შორისო სატელეფონო კავშირის რესპუბლიკური ცენტ-  
რის“ საკომუტატორო საამქროს უფროსი
- ავთანდილ იაშვილი** - შპს „საქართველოს ელექტროკავში-  
რის“ გენერალური დირექტორი
- ალბერტ ლომინაძე** - შპს „საქართველოს ტელეკომის“ სა-  
ხაზო-სააპარატო საამქროს ცვლის უფროსი
- ანგელინა როსტიაშვილი** - შპს „საქართველოს ფოსტის“ ფი-  
ლიალ „გორის ფოსტის“ ფოსტალიონი
- ვანტანგ სალიბეგაშვილი** - ყოფილი მინისტრის მოადგილე  
(სიკვდილის შემდეგ)
- ივორ ჩაჩიბაია** - აჭარის კავშირგაბმულობისა და ფოსტის  
სამინისტროს ბათუმის სატელეფონო ქსელის სახაზო ინ-  
ჟინერი.

**ღირსების მედალით:**

- ბადრი ბონუა** - შპს „საქართველოს ტელეცენტრის“ ყვარლის  
ტელესადგურის უფროსი
- თენგიზ გურგენიძე** - აფხაზეთის კავშირგაბმულობისა და  
ფოსტის მთავარი სამმართველოს მთავარი ინჟინერი
- ბიდიკო კაკულია** - შპს „საქართველოს ელექტროკავშირის“  
ტერიტორიული ფილიალის „ფოთის ელექტროკავშირის“  
მმართველი
- ალექსანდრე კიზიმროვი** - აჭარის კავშირგაბმულობისა და  
ფოსტის მინისტრის პირველი მოადგილე
- ლამარა ლომსაძე** - სახაზინო საწარმო ინფორმაციისა და  
მონაცემთა გადაცემის რესპუბლიკური ცენტრის „ინფოკო-  
მის“ ელექტრომექანიკოსი

- მიტუშა მაჩიტაძე** - თბილისის სააქციო საზოგადოება საამ-  
შენებლო-სამონტაჟო ტრესტის „ტელეფონშენის“ გენე-  
რალური დირექტორი
- დოდო მაჭავარიანი** - შპს „საქართველოს ფოსტის“ თბილი-  
სის ფოსტამტის ფოსტალიონი
- მიხეილ მუშეკუდიანი** - შპს „საქართველოს ელექტროკავში-  
რის“ ქუთაისის ტერიტორიული ფილიალის ცაგერის რაი-  
ონული ფილიალის ატს-ის ინჟინერი
- ემა ნადარეიშვილი** - შპს „საქპრესის“ დირექტორის მოად-  
გილე
- ტურფა უჯმაჯურიძე** - შპს „ერთიანი რეგიონალური სასწავ-  
ლო ცენტრის“ მასწავლებელი
- ბერდია ქავთარაძე** - შპს „საქართველოს ელექტროკავშირის“  
ტერიტორიული ფილიალის „გურჯაანის ელექტროკავში-  
რის“ მმართველი
- მერაბ ქოქაშვილი** - შპს „საქართველოს ელექტროკავშირის“  
ტერიტორიული ფილიალის „მცხეთის ელექტროკავშირის“  
მრჩილაფი
- ნანული დიბრაძე** - შპს „საქართველოს ფოსტის“ გენერალუ-  
რი დირექტორი
- რეზო შონია** - შპს „საქართველოს რადიოცენტრის“ ტექნიკუ-  
რი განყოფილების უფროსი
- ზურაბ ცუცქერიძე** - შპს „საქტელეკომის“ სახაზო-სააპარა-  
ტო საამქროს ინჟინერი
- დარეჯან ჭარბაძე** - საქართველოს კავშირგაბმულობისა და  
ფოსტის მინისტრის მოადგილე.

*ე. შევარდნაძე*

### საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება

№ 14

1997 წლის 13 იანვარი

ქ. თბილისი

**გაზეთი «სოფლის ცხოვრების» რედაქციის თანამშრომელთა  
საქართველოს ორდენებითა და მედალებით დაჯილდოების  
შესახებ**

ქართულ პრესაში ნაყოფიერი ჟურნალისტური საქმიანობისა და  
მაღალი პროფესიონალიზმისათვის გაზეთ „სოფლის ცხოვრების“ რე-  
დაქციის თანამშრომლები დაჯილდოვდნენ საქართველოს ორდე-  
ნებითა და მედლებით:

**ღირსების ორდენით:**

**იზაბელა გერმესაშვილი** - სარედაქციო საბჭოს თავმჯდომარე.

### ღირსების მედლით:

ცისანა თურქაძე - საშინაო პოლიტიკის განყოფილების რედაქტორი

მაყვალა ინასარიძე - უფროსი კორესპონდენტი

შუქურა კოტრიკაძე - ეკონომიკის განყოფილების რედაქტორი

მედეა ცოტაძე - მეცხოველეობის განყოფილების რედაქტორი.

*ე. შევარდნაძე*

## საქართველოს პრეზიდენტის

### ბრძანებულება

№ 15

1997 წლის 13 იანვარი

ქ. თბილისი

#### 3. გოიაშვილის ღირსების მედლით დაჯილდოების შესახებ

ქართული სპორტის განვითარებაში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილისა და მოზარდი თაობის აღზრდის საქმეში დიდი დამსახურებისათვის ცენტრალური საწყლოსნო სპორტული კომპლექსის „ვერეს“ გენერალური დირექტორი ვლადიმერ გოიაშვილი დაჯილდოვდეს ღირსების მედლით.

*ე. შევარდნაძე*

## საქართველოს პრეზიდენტის

### ბრძანებულება

№ 16

1997 წლის 13 იანვარი

ქ. თბილისი

#### 6. კარასელიძის ღირსების ორდენით დაჯილდოების შესახებ

ენერგეტიკულ მეცნიერებაში შეტანილი დიდი წვლილისა და ენერგეტიკის განვითარების ღონისძიებათა განხორციელებაში აქტიური მონაწილეობისათვის საქართველოს ენერგეტიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი ნოდარ კერესელიძე დაჯილდოვდეს ღირსების ორდენით.

*ე. შევარდნაძე*

**საქართველოს პრეზიდენტის  
ბრძანებულება**

№ 17

1997 წლის 13 იანვარი

ქ. თბილისი

**თ. შარცვანიას ღირსების კადავით დაჯილდოების უმსახეპ**

ქართულ საოპერო ხელოვნებაში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილისათვის საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის სოლისტი **თამაზ ფარცვანია** დაჯილდოვდეს ღირსების მედლით.

*ე. შევარდნაძე*

**საქართველოს პრეზიდენტის  
ბრძანებულება**

№ 18

1997 წლის 13 იანვარი

ქ. თბილისი

**რ. თორდიას ღირსების ორდენით დაჯილდოების უმსახეპ**

ქართული სახვითი ხელოვნების განვითარებაში შეტანილი დიდი წვლილისა და აქტიური შემოქმედებითი მოღვაწეობისათვის საქართველოს სახალხო მხატვარი ფერმწერი **რადიშ თორდია** დაჯილდოვდეს ღირსების ორდენით.

*ე. შევარდნაძე*

**საქართველოს პრეზიდენტის  
ბრძანებულება**

№ 23

1997 წლის 14 იანვარი

ქ. თბილისი

**თ. კაღვიანიტუხუცაძის ღირსების ორდენით დაჯილდოების უმსახეპ**

ქართული თეატრალური და კინოხელოვნების განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისა და ნაყოფიერი შემოქმედებითი მოღვაწეობისათვის კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური დრამატული თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი, საქართველოს სახალხო არტისტი **თათარ მეღვინეთუხუცე** დაჯილდოვდეს ღირსების ორდენით.

*ე. შევარდნაძე*

№ 24

1997 წლის 15 იანვარი

ქ. თბილისი

**თ. ლანჩავას ღირსების ორდენით დაჯილდოების შესახებ**

ქართულ ლიტერატურაში შეტანილი წვლილისა და ნაყოფიერი საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის საქართველოს მწვერალთა კავშირის ქუთაისის განყოფილების პასუხისმგებელი მდივანი მწვერალი თეიმურაზ ლანჩავა დაჯილდოვდეს ღირსების ორდენით.

*ე. შევარდნაძე*

№ 25

1997 წლის 15 იანვარი

ქ. თბილისი

**ლ. ხინგავას ღირსების ორდენით დაჯილდოების შესახებ**

ქ. ქუთაისის იაკობ გოგებაშვილის სახელობის თოჯინების სახელმწიფო თეატრში ხანგრძლივი, ნაყოფიერი შემოქმედებითი მოღვაწეობისათვის თეატრის წამყვანი მსახიობი და მუსიკალური ნაწილის გამგე ლუიზა ხინგავა დაჯილდოვდეს ღირსების ორდენით.

*ე. შევარდნაძე*

№ 26

1997 წლის 15 იანვარი

ქ. თბილისი

**ქუთაისის ლ. მესხიშვილის სახელობის დრამატული თეატრის მსახიობების ღირსების ორდენით დაჯილდოების შესახებ**

ქართული თეატრალური ხელოვნების განვითარებაში შეტანილი დიდი წვლილისათვის ქუთაისის ლ. მესხიშვილის სახელობის დრამატული თეატრის მსახიობები დაჯილდოვდნენ ღირსების ორდენით:

- მარი გელაშვილი - მსახიობი
- ვანტანგ მეგრელიშვილი - მსახიობი
- ქეთევან ნაჭყებია-კოლხიდელო - მსახიობი

ვერა საღარაძე - მსახიობი

ჯეირან ფანუაშვილი - თეატრის მთავარი მხატვარი, მხატვართა  
კავშირის ქუთაისის განყოფილების თავმჯდომარე

რევაზ ჭყეშვილი - მწერალი, თეატრის სამხატვრო ხელმძღვა-  
ნელი

ანზორ ხერხაძე - მსახიობი.

*ე. შევარდნაძე*

### საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება

№ 27

1997 წლის 15 იანვარი

ქ. თბილისი

**ო. მამფორიას ღირსების ორდენით დაჯილდოების შესახებ**

ქართულ ლიტერატურაში შეტანილი დიდი წვლილისათვის  
მწერალი **ოთარ მამფორია** დაჯილდოვდეს ღირსების ორდენით.

*ე. შევარდნაძე*

### საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება

№ 28

1997 წლის 15 იანვარი

ქ. თბილისი

**მ. ამირანაშვილისა და გ. ლომთაძის ღირსების ორდენით  
დაჯილდოების შესახებ**

საოპერო ხელოვნების განვითარებაში შეტანილი დიდი წვლი-  
ლისათვის ქუთაისის მელიტონ ბალანჩივაძის სახელობის ოპერისა  
და ბალეტის თეატრის მსახიობები **დაჯილდოვდნენ** ღირსების  
ორდენით:

**მედეა ამირანაშვილი** - თეატრის გენერალური დირექტორი  
**გიორგი ლომთაძე** - თეატრის სოლისტი.

*ე. შევარდნაძე*

**საქართველოს პრეზიდენტის  
ბრძანებულება**

№ 29

1997 წლის 15 იანვარი

ქ. თბილისი

**მ. ჩხოვაძის ღირსების ორდენით დაჯილდოების უმსახეპ**

ჯანმრთელობის დაცვის დარგში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის ქუთაისის სამედიცინო რეაბილიტაციის რეგიონალური ცენტრის დირექტორი საქართველოს დამსახურებული ექიმი **ოთარ ჩხოვაძე** დაჯილდოვდეს ღირსების ორდენით.

*ე. შევარდნაძე*

**საქართველოს პრეზიდენტის  
ბრძანებულება**

№ 31

1997 წლის 19 იანვარი

ქ. თბილისი

**მ. მაღრაძის ღირსების ორდენით დაჯილდოების უმსახეპ**

ქართულ ლიტერატურაში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილი-სა და ნაყოფიერი საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანი მწერალი **ელგუჯა მაღრაძე** დაჯილდოვდეს ღირსების ორდენით.

*ე. შევარდნაძე*

**საქართველოს პრეზიდენტის  
ბრძანებულება**

№ 33

1997 წლის 19 იანვარი

ქ. თბილისი

**რ. კაკულიას ღირსების ორდენით დაჯილდოების უმსახეპ**

ეკონომიკური მეცნიერების განვითარებაში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილისა და ახალგაზრდა მეცნიერთა კადრების მომზადების საქმეში დიდი დამსახურებისათვის საქართველოს ეკონომიკის სამინისტროსთან არსებული ეკონომიკური და სოციალური პრობლემების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო ნაწილში **რევაზ კაკულია** დაჯილდოვდეს ღირსების ორდენით.

*ე. შევარდნაძე*



**საქართველოს პრეზიდენტის  
ბრძანებულება**

№ 34

1997 წლის 19 იანვარი

ქ. თბილისი

**ბ. სუციშვილის ღირსების მედლით დაჯილდოების შესახებ**

საქართველოს მეტალურგიულ მრეწველობაში შეტანილი წვლილისა და ნაყოფიერი პედაგოგიური მოღვაწეობისათვის საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინჟინერი **გრიგოლ ხუციშვილი** დაჯილდოვდეს ღირსების მედლით.

*ე. შვეარდნაძე*

**საქართველოს პრეზიდენტის  
ბრძანებულება**

№ 35

1997 წლის 19 იანვარი

ქ. თბილისი

**მ. გაბაშვილის ღირსების ორდენით დაჯილდოების შესახებ**

